III
ძმანი ხერხეულიძენი

თბილისის სამხრეთით მდებარეობს მოზრდილი სოფელი მარაბდა. სამასი წლის წინათ ამ სოფელში ცხოვრობდა მოხუცი აზნაური ხერხეულიძე, რომელსაც ცხრა ვაჟი ჰყავდა. მამა ამ ცხრა ვაჟისა იყო ერთგული მოყვარე თავისი ქვეყნისა და მხურვალე მამულიშვილი; ცოლად ჰყავდა ყოვლად ღირსეული ქართველი მანდილოსანი. ამის გამო ძმები ერთმანეთზე უკეთესი ვაჟკაცები და მამულიშვილები დადგნენ.

იმჟამად სპარსეთში მეფობდა შაჰ-აბაზი, მეტად დაუნდობელი მეომარი. მას ჰყავდა მრავალრიცხოვანი ჯარი, გაწვრთნილი და გამოცდილი ლაშქრობაში. შაჰ-აბაზმა დაიპყრო ბევრი ქვეყანა და ბოლოს საქართველოშიც შემოიჭრა. ქართველთა ჯარი მას გადაეღობა გზაზე თბილისს ქვევით, მარაბდის სამხრეთით. გაიმართა საშინელი ბრძოლა. სამი დღის განმავლობაში სისხლი განუწყვეტელ

ნაკადულებად მიდიოდა. თუმცა სპარსელები ერთიათად მეტნი იყვნენ, მაგრამ მათ სამი დღის განმავლობაში ქართველთა ჯარს ფეხი ვერ მოაცვლევინეს, რადგანაც ქართველი მეომრები თავგანწირულად იბრძოდნენ სამშობლოს დასაცავად. მეტადრე საოცარ უშიშრობას, სამაგალითო ვაჟკაცობას და საარაკო თავდადებულობას იჩენდნენ ძმანი ხერხეულიძენი, რომელნიც ერთად, მხარდამხარ ებრძოდნენ მტერს. მათ არაერთი იერიში სპარსელებისა უკუაქციეს, არაერთხელ აქცევინეს ზურგი მტერს.

მეოთხე დღეს სპარსელებს ახალი ჯარი მოეშველა და დაღალულ-დაქანცულმა ქართველთა ლაშქარმა ვეღარ შეაკავა მტერი. ამ საშინელი წამის დროს ძმანი ხერხეულიძენი არამცთუ არ შედრკნენ, არამედ ლომებად გადაიქცნენ და უფრო მომეტებული თავგანწირვით იბრძოდნენ. მათ გადაწყვეტილი ჰქონდათ ან გაემარჯვათ, ან ბრძოლის ველზე დახოცილიყვნენ ყველანი. რადგანაც ქართველთა ჯარმა ვერ გაიმარჯვა, თავდადებულნი ძმანი ზედ შეაკვდნენ მტერს და თავიანთი გმირული სული დალიეს ბრძოლის ველზე.

ხალხის თქმულებით, მათი დედაც ბრძოლის ველზე იყო, ამხნევებდა მათ და როცა ერთ მის ვაჟს, სასიკვდილოდ დაჭრილს, ქართული დროშა ხელიდან გაუვარდა, იგი დედამ აიღო და მეორე შვილს მისცა ხელში.

LIVEWORKSHEETS

მადლიერმა ქართველებმა ცხრა ძმა ბრძოლის ველზე იპოვნეს, დიდი მოწიწებით დამარხეს მწკრივად და დაადეს ცხრა დიდი საფლავის ქვა, რომლებიც დღემდე არის დაცული.

იაკობ გოგებაშვილი

1. სად მდებარეობს სოფელი მარაბდა?

---

2. მწერლის აზრით, რატომ დადგნენ ძმები ერთმანეთზე უკეთესი ვაჟკაცები და მამულიშვილები?

---

3. ამოწერე მოთხრობიდან ის სიტყვები, საიდანაც ჩანს მწერლის უარყოფითი დამოკიდებულება შაჰ-აბაზის მიმართ:

---

4. სად შეება ერთმანეთს ქართველთა და სპარსელთა ლაშქარი?

LIVEWORKSHEETS

5. სამი დღის განმავლობაში ქართველებსა და სპარსელებს შორის საშინელი ბრძოლა მიმდინარეობდა. იპოვე და ამოწერე ის წინადადება, საიდანაც ჩანს, რომ ბრძოლაში ბევრი მეომარი დაიჭრა და დაიღუპა:

---

6. რა მოხდა ბრძოლის დაწყებიდან მეოთხე დღეს ისეთი, რომ ქართველთა ლაშქარმა ვეღარ შეაკავა მტერი?

---

7. რას შეადარა მწერალმა თავგანწირვით მებრძოლი ძმები?

---

8. რა გადაწყეტილებით, როგორი სულისკვეთებით ჩაებნენ ძმები მეოთხე დღეს გამართულ ბრძოლაში?

---

9. მოთხრობიდან ვიგებთ, რომ ქართველებმა ცხრა ძმა ბრძოლის ველზე იპოვეს, დამარხეს და საფლავის ქვები დაადეს. რა გრძნობა გამოხატეს ამით ქართველებმა ძმების მიმართ?

---

10. რა არის ამ მოთხრობაში მთავარი, ძირითადი?

ა. შაჰ-აბაზის დაუნდობლობის ჩვენება;
ბ. ცხრა ძმა ხერხეულიძის გმირობის გადმოცემა;
გ. ხერხეულიძეთა ოჯახის აღწერა.

LIVEWORKSHEETS

11. რატომ იბრძოდნენ ძმები ხერხეულიძეები მტრის წინააღმდეგ თავგანწირვით?

ა. იმიტომ, რომ ისინი მხურვალე მამულიშვილები იყვნენ და არ უნდოდათ, სამშობლო მტრისთვის დაეთმოთ;
ბ. იმიტომ, რომ სახელოვანი ვაჟკაცის სახელი არ დაეთმოთ;
გ. იმიტომ, რომ ხერხეულიძეები მეფისგან ჯილდოსა და დაწინაურებას ელოდნენ.

12. მწერალმა ეს მოთხრობა დაწერა მე-20 საუკუნის დასაწყისში. რომელ საუკუნეში მოხდა ამ მოთხრობაში აღწერილი ამბავი?

LIVEWORKSHEETS